№ 9
შაბათი
5 სექტემბერი
1909 წ.

მომავალი

№ 9
შაბათი
5 სექტემბერი
1909 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით **7** მან., ნახევარი წლით **4** მან.

ქალაქ გარეთ	თფილისში
3 თვით—2 მან. 50 კაპ.	3 თვით—2 მან. 20 კაპ.
1 „ — — 90 „	1 „ — — 80 „

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან— **ერთი შაური**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს **15 კ.**; უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ-დღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე.

რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

რედაქციის ადრესი:
რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:
Тифлисъ, тип. „Сорапань“, Калистрату Конст. Цуладзе.

ოზურგეთში

კვირას, 6 ენკენისთვეს

ოზურგეთის

რეალურ სასწავლებლის სასარგებლოთ

გაიმართება დიდი სახალხო

სეირნობა

შემდეგი პროგრამით:

დაუკრავს სამხედრო მუსიკა, ზურნა, გრამოფონი, მანდალინისტთა ორკესტრი, იმღერებენ ქართულათ და რუსულათ, ითამაშებენ ლეკურს, წაიკითხავენ ლექსებს, ჰაერში აუშვებენ მაშხალებს, ბურთებს (შარებს) და სროლა ნიშანში, **ჭიდაობა**, რგოლების ჩამოცმევა, ლატარეია-ალეგრი, ბაზარი, ბოჭკა-იღბალი, „პტი-შვო“, ცხენების ჯირითობა, ღია ბარათი ლექსებით, მარჩიელი ჩაჩნის ქალი, მეოცე საუბუნის აფთიაქი, კომფეტები, ყვავილები, ფოსტა, ბუფეტი, ბავშვებისათვის დროშები და სეირნობა და ტომრებში სირბილი: ვინც გაასწრებს საჩუქრათ მიიღებს მამალს. ლატარეიაში ჩაგდებულია **ერთი ქცევა მიწა, ცხენი, გახედნილი თხა უნაგირით, სამოვარი, საათი, გიტარა** და სხ. მოსეირნეთ დაურიგდებათ კონტრამარკები, რომელზედაც ვსთხოვთ დააწერონ სახელი და გვარი ულამაზეს მოსეირნეთა შორის. ვინც რიცხვით მეტ ხმას მიიღებს, საჩუქრათ მიეცემა ოქროს ჟეტონი. ულამაზეს ქალს ირჩევენ კაცები,—კაცს ქალები. შემოწირულება მიიღება ექიმ ტიტიკო ერისთავის სახელზე.

ბაღში შესასვლელი ფასი 20 კაპ. ბავშვებისთვის 10 კაპ.

სეირნობის დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.

მკერვალი ქალი

ვიუვან მოსწავლეებს განურჩევლათ ხნოვანებისა. ვასწავლი ჯრასა და სატკას სამი თვის განმავლობაში.

ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია.

დუშეთის ქუჩა № 7.

25 აგვისტოდან ისევ გაიხსნა

წიგნის მაღაზია „ალიონი“

თფილისი, კიროჩნი ქუჩა № 9. სახალხო სახლის პირდაპირ

იყიდება ყოველგვარი წიგნები. მაღაზიას აქვს შეძენილი დიდ ძალი **სახელმძღვანელო წიგნები** (учебныя книги) აგრეთვე **სამოსწავლო ნივთები.**

ვკისრულობთ ქართულ წიგნებისაგან ბიბლიოთეკების შედგენას. ქართულ წიგნების **კატალოგი** მსურველთ გაეგზავნება უფასოთ. ვ. **გაბდილია.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Кирочная ул. № 9 книжный магазинъ „АЛІОНИ“ **Василія Гадилія.**

გაიხსნა ახალი
თფილისის
კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. დამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა.ი პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის. ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიახანიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 გ.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომბარელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—54

კბილის ექიმი
ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

ძ. ქუთაისში
თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

„გუთანი“,

შედგენილი ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ.

(თვ. 0—21)

С. и Ѳ. Грязновы готовятъ учениковъ въ среднія учебныя заведенія.

Имѣются группы, готовящихся въ **4, 5 и 6** классъ гимназіи.

Адресъ: Вера, Измайловскій пер. № 6, въ верхнемъ этажѣ кв. 8. (10—4)

● სახალხო უნივერსიტეტი ●

სათავად-აზნაურო თეატრი.

შაბათს, 5 სექტემბერს, **ნ. ა. ჯორჯაძე** წაიკითხავს ლექციას.

ფილოსოფიურ ქვის ძებნაში

პოპულიარული სურათები ძველ და ახალ მეცნიერ მკვლევართა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები 2 მანეთიდან 50 კაპეიკამდე.

გამოვიდა

დუტუ მეგრელის

ნაწერების პირველი წიგნი

ლექსები

წიგნი 262 გვერდია ჩვეულებრივ ფორმატისა.

ხელის მომწერნი მიიღებენ იმათგან, ვისთანაც ხელი მოაწერეს. ვინც პირდაპირ „დროების“ რედაქციას გამოუგზავნა ფული, წიგნი გაეგზავნება ფოსტით. ცალკე გასასყიდათ წიგნი ღირს 70 კაპეიკი (წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20%). ვინც წიგნს დაიბარებს „დროების“ რედაქციიდან, გასაგზავნი არ გადახდება; იმას კი, ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 10 ცალისა და ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, თითო წიგნი დაეთმობა

სამაბაზათ

მოკლე დროში გამოვა მეორე წიგნიც: **„მოთხრობები“.** (3—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

კვირას, 6 ენკენისთვეს 1909 წ., სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან ბ.ბ. **ა. იმედაშვილისა** და **ი. ივანიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ყაჩაღები

ტრაგედია 5 მოქ. შილლერისა, თარგმ. ნ. ავალიშვილის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ქიქოძე; ბ.ბ. ანაშვილი, ბადრიძე, ბაქრაძე, გოცირიძე, იმედაშვილი, ივანიძე, ზურაბიშვილი, ნარი, რომანიშვილი, რევაზოვი, შათირიშვილი, მეტრეველი და ჯაბაური.

დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე.

ადგილების ფასი 5 კაპ. **50** კაპ.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს, 17 ენკენისთვეს. მზადდება წარმოსადგენათ **„ჭირვეული ცოლის მორჯულება“** კომ. 4 მოქმ. შექსპირისა; **„შემოსავლიანი ადგილი“** ოსტროვსკისა და სხ.

დაბეჯითებით ვსთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება **სრულიად** აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **შათირიშვილი.**
ადმინისტრატორი **სვირელი.**

კბილის ექიმი
ს. ვაშაყმაძე

აბასთუმანიდან დაბრუნდა. ავათმყოფებს ღებულობს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დალმართი, სახლი № 15.

გამოვიდა და თფილისის საცენზურო კომიტეტში იყიდება: **სია ნება დართულ პიესებისა**

ქართულ, სომხურ და თათრულ ენაზედ.

შედგენილი **ივ. პოლუმორდვინოვის** მიერ. ფასი ათი შაური. ფულის მაგიერ შეიძლება საფოსტო მარკები გამოიგზავნოს. 3—1

ქალაქის სტიპენდია

განთავისუფლდა პეტერბურგის ქალთა საექიმო ინსტიტუტში. სტიპენდია დაენიშნება ქ. თფილისის მცხოვრებ ქალს, რომელსაც გაუთავებია პირველი ან მეორე თფილისის ქალთა გიმნაზია განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

თხოვნები საჭირო დოკუმენტებით მიიღება ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილებაში ამა წლის სექტემბრის გასვლამდე. 3—ნ.—1

ივ. კაჩუხოვი

გადავიდა ბელინსკის ქუჩ. № 18.

ნაფიცი ვექილი
სერგეი დ. ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა თფილისში

ბროსეს ქუჩა, ახალ-აღმოსავლეთის სახლი № 11.
(სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს)

თფილისი, 5 სექტემბერი.

შვეიცის გაფიცვა, რომელიც თავის უმაგალითო ერთსულოვნებით და სიმტკიცით, მთელი კვირეების განმავლობაში იპყრობს მთელი კულტურული ქვეყნის ყურადღებას, და რომელსაც ჯერ კიდევ არ უჩანს ბოლო, ბრაზს გვრის ბურჟუაზიულ გაზეთებს, მოთმინებიდან გამოყავს და ერთხმათ ღაღადებს: „კმარა! დროა მუშებს ჰკუა ასწავლონო“. ამ ხროში პირველი ადგილი, რასაკვირველია, „ნოვოე ვრემიამ“ დაიჭირა. 28 აგვისტოს მეთაურში მან გაფიცვა უკვე დამარცხებულათ გამოაცხადა. „საყოველ. მუშათა გაფიცვის ცდა, სწერს ის,—რომელიც მოახდინეს შვეიცელ მუშათა კავშირების ხელმძღვანელებმა, სრულიად დამარცხდა“. მერე და, მართლა დამარცხდენ მუშები? ჩვენ დიდი ხანია ვთქვით, რომ ყოველ შემთხვევაში, ამ ბრძოლაში მუშებს დარჩებათ მატერიალური გამარჯვება თუ არა, მორალური მაინც თქვა. ამ აზრის სინამდვილეში ყველა დაგვეთანხმება, ვინც დაბრმავებული არ არის კერძო თუ ბურჟუაზიული შეხედულობით. ახლა გავარჩიოთ ნივთიერი მხარე. მართალია, მუშებმა ამ ბრძოლის დროს ბევრი იზარალეს, ბევრი დაკარგეს, ცოლშვილი ნახევრათ მშიერ-მწყურვალი დაურჩათ, კიდევ ბევრ ხანს დარჩება მათთვის საგრძნობლათ გაფიცვის ხანაში დანაკარგი, მაგრამ ყოველივე ეს მუშისათვის არ ახალია, ძველია. თითქმის ერთათ ერთი საშუალება მუშების თავის აღებთან საბრძოლველათ არის გაფიცვა და შვეიცელ მუშებს ამ ჟამათ ფიქრათაც არ ქონიათ მისთვის მიემართათ და თუ მიმართეს, მხოლოდ იმიტომ, რომ აღებმა ლოკაუტი გამოუცხადეს 40,000 მუშას და ისინი უმუშევრათ დასტოვეს. ბრალი თვით აღებს ედება და არა მუშებს; ზარალი მუშების, სახელმწიფოსი და მრეწველობის, თვით მრეწველების ვერაგულ მოქმედებით არის გამოწვეული და არა მუშების-მიერ. მაშასადამე, პირუთვნელი გამომკვლევი ამ დიადი გაფიცვის, მუშებს ოდნავათაც ვერაფერში ვერ გაამტყუნებს და ტყუილ-უბრალოთ არწმუნებს თავის მკითხველებს „ნოვოე ვრემია“, თითქოს ამ გაფიცვის ხელმძღვანელებს აზრათ ჰქონოდეთ ამ გაფიცვით მუშათა კითხვის ერთი დაკვრით გადაწყვეტა მთელ შვეციაში, რაც, რასაკვირველია, მტკნარი სიცრუეა.

რა მოიგეს მუშებმა? პირველათ ყოვლისა ის, რომ გაუღვიძეს იმ მუშებს, რომლებიც დღეს ორგანიზაციის გარეშე დგანან სურვილი იქ შესვლის და თავის ამხანაგებთან ერთათ მძიმე ცხოვრების შემსუბუქება საერთო ბრძოლის შემწეობით. ამგვარი დასკვნა რომ ნამდვილია, ეს იქიდანაც სჩანს, რომ გაფიცვის დროსაც ორგანიზაციაში ბევრი ახალი მუშა ჩაეწერა და ეს პროცესი მომავალში რომ სწრაფათ წავა, ამაში ღრმათ დარწმუნებული უნდა ვიყოთ. ამგვარი შეგნების შეტანა მუშებში კი თავმდებია მომავალი ბრძოლიდან სრული გამარჯვებულათ გამოსვლის. თვით „ნოვოე ვრემია“ არ უარყოფს,—სამეურნეო წარმოების მუშებს რომ მიეღოთ მონაწილეობა გაფიცვაში, მაშინ ისინი უსათუოთ ქედს მოახრევინებდენ მთავრობასაც და მრეწველებსაც.

ამ გაფიცვამ განამტკიცა, გააძლიერა მუშათა საერთაშორისო სოლიდარობა. ამას აშკარათ მოწმობს ის ზნეობრივი და ნივთიერი კავშირი, რომელიც მთელი გაფიცვის დროს დამყარდა შვეციელ მუშებსა და სხვა სახელმწიფოთა მუშათა შორის. შვეციელი მუშების ხელმძღვანელები მიდიან ევროპაში, მოხსენებას აკეთებენ გაფიცვის მიმდინარეობაზე, აცნობენ ყველა მხარეს და ამრიგათ მონაწილეთ ხდიან მათ ბრძოლისას. ვისაც კი რამე შეძლება ქონდა, არც ერთი სახელმწიფოს მუშები არ დარჩენილან ისე, რომ შვეციელ გაფიცულთათვის ნივთიერი დახმარება არ აღმოეჩინათ. საერთაშორისო მუშათა სოლიდარობას სწორეთ ასეთ წუთებში აქვს დიადი მნიშვნელობა და თეორიული წარმოდგენა ამგვარ სოლიდარობაზე ასეთი მაგალითებით ყველასთვის თვალსაჩინო ხდება, ამასთანავე, აახლოვებს იმ წუთს, როცა ყველა ქვეყნების მუშები ერთ დიდ მრისხანე ორგანიზაციათ შეერთდებიან...

ბევრს გონია, რომ საყოველთაო გაფიცვა მართლაც ერთი დაკვრით გადასჭრის სოციალურ კითხვას. ამ აზრს ემხრობიან ანარქისტები და სინდიკალისტები. განვლილმა გაფიცვამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა თუ რა ფრთხილათ და წინდახედულათ საჭიროა მისი ხმარება და მისი წარა-მარა ხმარება რა საშიშროებას წარმოადგენს. საყოველთაო გაფიც-

ვის გამარჯვებისთვის საჭიროა საზოგადოების უმრავლესობის თანაგრძნობა, თუ ეს არაა, მაშინ მისი დამარცხება უსათუოა. ეს კარგათ გაითვალისწინეს შვეიცელმა მუშებმა და ყოველი ძალა და ღონე იხმარეს საზოგადოებრივი აზრის თავის მხარეზე გადმოსაქანებლათ და მიზანსაც მიაღწიეს. ხალხს მისცეს საშუალება უკლებლათ ესარგებლათ პურით, ხორცით და სინათლით, ავათმყოფებს და ბავშებს დაუტოვეს ყოველივე ის მოწყობილობა, რასაც მათი მოვლის პირობები თხოულობს; ამასთანავე, რაც ყველას განცვიფრებას იწვევს, არ მოუხდენიათ არც ერთი ტერორისტული აქტი, არავითარი ძალადობა და სრული წესიერება სუფევდა ყველგან და ყოველთვის გაფიცვის განმავლობაში. ამან მოუპოვა გაფიცვას, დიდი სიმპატია, ბევრი თანამგრძნობნი. ამან კი „ლოკაუტჩიკებს“ მადა შეუმცირა. მოსალოდნელია, რომ ბევრ მათ მოთხოვნილებას უკან წააღებინებენ. ამ შემთხვევაში მუშების მხარეზე ნივთიერი გამარჯვებაც დარჩება. ამის შემდეგ მხოლოდ „ნოვოე ვრემიას“ და ძმათა მისთა შეუძლიათ თქვან საყოველთაო „მუშათა გაფიცვა შვეიცაში სრულიად დამარცხდაო“.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 სექტემბერი.

სპარსეთი.

თეირანი. მინისტრებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომლითაც შაჰის მთავრობას ევალება გადაუხადოს რუსეთის ბანკს ყოფილი შაჰის პირადი ვალი. ამ ვალს ათი წლის განმავლობაში გადაიხდიან.

რუსეთი

ჩერნიგოვი. სურაჟში გახსნეს საოსტატო სემინარია. ჩერნიგოვში, სტაროდუბში, სურაჟში და კოზელცში გახსნეს სატუსაღოდან განთავისუფლებულთა მფარველი საზოგადოება.

პეტერბურგი. ქალაქში დაიჭირეს 14 რეციდივისტი ქურდი და 50 ჯიბგირი.

ვარშავა. დაიჭირეს 12 კაცისაგან შემდგარი ბოროტ-მომქმედთა ბრბო, რომელსაც მშვენივრათ მოწყობილი ემიგრაციული კანტორა ქონდა და დამნაშავეებს გზავნიდა საზღვარ-გარეთ.

ეკატერინოდარი. გუშინ საღამოს 4 შეიარაღებულმა უცნობმა გაძარცვა ელიზავეტო-ხოროშევსკის სავოლოსტო სამართველო. წაიღეს 2000 მ., ბეჭედი და და პასპორტები. ერთი მძარცველთაგანი მოკლეს.

ნოვოჩერკასკი. გოლუბინსკის სტანიცაში ბრბომ ერთი კაზაკი მოკლა, რომელსაც ცხენის ქურდობას აბრალებდენ. მეორე კაზაკი მძიმეთ დასჭრეს.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო მოწვეულ იქნას 14—29 სექტემბერს ბაპტისთა სრულიად რუსეთის სიეზდი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო მოწვეულ იქნას 1910 წლის იანვარში ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სრულიად რუსეთის სიეზდი.

მთავარმა სამხედრო სასამართლომ გაასუქმა ადესის სამხედრო სასამართლოს განაჩენი სამხედრო ექიმ პოპოვის შესახებ, რომელსაც „მებრძოლ „დეკაბრისტების“ სახსოვრათ“ წიგნის გამოცემისთვის გადასახლება ქონდა გადაწყვეტილი.

იმავ სასამართლომ უყურადღებოთ დასტოვა თფილისის ექვსი მცხოვრების საკასაციო საჩივარი, რომელთაც ვაჭარ იარალოვის მოტაცებითვის სიკვდილით დასჯა ქონდათ გადაწყვეტილი და ტაშკენტის სამხედრო საავათმყოფოს უფროსს ექიმის მორობოვის საჩივარი, რომელსაც რვა თვის დატუსაღება ქონდა გადაწყვეტილი სამსახურის შეუსრულებლობის გამო.

ვალკი. ქალაქის განაპირა სოფელში დაიწვა 130 სახლი და პური.

ივანო-ვოზნესენსკი. იწვის შოკინის ქარხანა.

ეკატერინოდარი. გუშინ საღამოს რვა საათზე ეკატერინოდარსა და ლორისს შუა ექვსმა ბოროტ-მოქმედმა გაძარცვა ფულის ამკრეფი. ფულის ამკრეფი მოკლეს, დასჭრეს ორი დარაჯი და მგზავრი. წაიღეს 22,408 მანეთი და გაიქცენ.

ვიტებსკი. სახელმწიფო საბჭოს წევრის კანდიდატათ სამღვდელოებამ წამოაყენა დეკანოზი მატიუშინსკი.

ნიკოლაევი. 30 აგვისტოს თავს დაესხენ გადასახლებულთა ექსპედიციას. თავდამსხმელები კავკასიელები იყვენ. დასჭრეს ერთი მუშა, რომელიც უკვე გარდაიცვალა, მეორე მუშას ფეხი მოსჭრეს.

ვერხნედნეპროვსკი. საოლქო სასამართლომ განიხილა 113 გლეხის საქმე. მათ ბრალდებოდათ სოფელ ლიხოვკასა, უსპენსკში და ალექსანდროვსკში ებრაელების აკლება. სასამართლომ მათ დატუსაღება გადაუწყვიტა.

ჩერნიგოვი. ჩერნიგოვის მაზრის სამღვდელოებამ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლათ აირჩია სამოილოვიჩი.

ხ ო ლ ე რ ა.

პეტერბურგი. ავათ გახდა 43, მოკვდა 11, ავათ არის 346.

ასტრახანი. ავათ გახდა და მოკვდა 1.

კიევი. ავათ გახდა 1.

პსკოვი. ომსკის პოლკში ავათ გახდა 33 სალდათი.

რეველი. იოხიმსტალში ავათ გახდა 2.

საზღვარ-გარეთ.

კრენგოლმში 1.

კაბაშტადტი. პოინტის სრუტესთან დაიღუპა ლონდონიდან მომავალი გემი „კინგ უმმალი“. დაიხრჩო 11 მგზავრი.

კალკუტა. გუშინ კალკუტიდან 57 მილზე მატარებელ ქვეშ ყუმბარა შეაგდეს. ყუმბარამ ფოსტის ვაგონის სახურავი ააგლიჯა. არავინ დაშავებულა.

მადრიდი. გუშინ პენოდეგომეროს სროლა აუტეხეს მავრებმა, მაგრამ გარნიზონმა ყუმბარები დაუშინა და გაფანტა. საღამოს 6 საათსა და 15 წუთზე ისევ განაახლეს იერიში, მაგრამ ისევ უკუაქციეს და იძულებული ყვეს საბოლოოთ შეეწვიტათ ბრძოლა. დღეს სრული სიწყნარეა.

ტოკიო. ბანკირთა კლუბში მინისტრ-პრეზიდენტ კატცარამ სიტყვა წარმოსთქვა იაპონიის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. ის ოპტიმისტურათ უყურებს იაპონიის ფინანსიურ მდგომარეობას და განაცხადა, რომ ამ წელში 53 მილიონ იენზე მეტი დაიხარჯება „ბონების“ გამოსასყიდლათ, იმედი განაცხადა, რომ იაპონია-ინგლისის მეგობრობა-კავშირი მომავალში უფრო განმტკიცდება, რომ იაპონიასა და შეერთებულ შტატებ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ჩინეთთან მომხდარ უთანხმოების შესახებ მან სთქვა, რომ ეს უთანხმოება უკვე მოისპო ორივე მხრით დათმობის წყალობითო.

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი.

სპარსეთის მდგომარეობა. გაზეთ „ნოვ. რუს“-ის კორესპოდენტი ასე აგვიწერს სპარსეთის დღევანდელ მდგომარეობას:

„ბახტიარების მიერ გამოწვეული შიში უსაფუძვლო გამოდგა. თავრიზიდან საშიში ხმები მოდის, იქ ვიღაც დიქტატორი გაჩნდა, რომელმაც მრავალი მომხრე შემოიკრიბა თავის გარშემო. იქ წასვლა განიზრახა ეფრემმა, მაგრამ არ გაუშვეს, რადგან მთავრობას შიში აქვს უპატრონოთ დასტოვოს სატახტო ქალაქი.

„ინგლისელების გავლენა აქ თანდათან ფეხს იკიდებს, ხოლო რუსეთის მთავრობისადმი—მტრობა.

უპირველეს ყოვლისა ყველა აქ მყოფი ინგლისელები (ისინი კი აქ ბლომათ არიან) საუცხოოთ ლაპარაკობენ სპარსულათ. თვით ელჩიც კი. შეხვდება თუ არა ღარიბ სპარსელს, თავს უკრავს და ზრდილობიანათ ეკითხება ჯანმრთელობაზე. რუსეთის მოხელეზე კი საყვედურს ამბობენ სპარსელები, რომ ჩვენ სალამზე თავის დაკვრის ღირსათაც არ გვთვლისო. რუს მოხელეების ასეთი გაუთლელი მოპყრობა მტრობას სთესავს სპარსელებსა და რუსებს შორის.

მე მოვდიოდი—ამბობს კორესპონდენტი—რუსეთის მომავალ დიპლომატთან ერთათ, რომელიც მთელ გზაზე ლანძღავდა მეეტლეს. მე მომიბრუნდა და თითქო ბოდიშის მოსახდელათ მითხრა: „იცით, სპარსელებთან ისე არაფრის გაკეთება არ შეიძლება თუ არ მათრახით“. ამაში დარწმუნებული არიან ყველა რუსები და ერთგულათაც ხმარობენ მათრახ-ნაგაიკებს.

მიუხედავათ ასეთ საშუალებისა მათი გავლენა აქ ფეხს ვერ იკიდებს. ინგლისელები კი მოდაში არიან. უბრალოთ იცვამენ, ყველას თავაზიანათ ეპყრობიან და მუდამ მხიარული არიან. თუმცა, უფრო შორს გამჭვრეტი ფიდაები კარგათ ხედავენ, რომ ინგლისელებს სულ სხვა მიზანი აქვთ, როცა ასე იქცევიან, აქ თავის სამშობლოს სარგებლობა აქვთ სახეში, მაგრამ მიუხედავათ ამისა ფიდაებს მაინც ხიბლავს მათი მოპყრობა.

ელიან პარლამენტის გახსნას. თეირანის დეპუტატები, ყველა უმაღლეს სწავლა დამთავრებული ახალგაზდობაა.

ოსმალეთი

ტერორი და ახ.-გაზ. ოსმალები. „რეჩის“ სიტყვით, სოფიაში ცნობა მიუღიათ, რომ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა დაადგინა, მიიღოს ტერორი, როგორც საშუალება ბრძოლის რეაქციონერების და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ.

რუსეთი

არჩევნები პეტერბურგში. საარჩევნო ომი პარტიებს შორის თანდათან ძლიერდება. კადეტების პარტიის კანდიდატის კუტლერის წინააღმდეგ დიდი გალაშქრებაა. „ნ. რუსმა“ ამას წინათ გამოამჟღავნა, რომ კუტლერი გრაფ გუდოვიჩთან არის სამსახურშიო. ახლა იგივე გაზეთი კიდევ აცხადებს, რომ ერობების წინაალმდეგ ვიტტეს ცნობილი მოხსენების ავტორი კუტლერიაო. იმავე კუტლერს მონაწილეობა მიუღია ვიტტე-სი-პიაგინთან ერთად ბევრ სხვა ზომების შემუშავებაში ერობის წინააღმდეგ.

შავრაზმელები. „ეშმ. რუსთა კავშირი“ ყოველ დღე სჯილდოლო კრებას ხდება. უფრო სერიოზული სადილობლო კრებები კი ბულვარის და პოლუბოიარინოვის ბინებზე ხდება. გაღაუწყვეტიათ, რომ რაც უნდა დაუჯდეთ, ლუბარსკი ფინლიანდიის სასამართლოს არ გადასცენ. გაგზავნან ის საზღვარგარეთ და ამავე დროს ყოველივე საშუალება იხმარონ, რომ გერცენშტეინის საქმის გარჩევა რუსეთის სასამართლოში გადმოიტანონ.

„ახალი სექტა“. თუ „რუს. ზნამიას“ დავუჯერებთ, პეტერბურგში გაჩენილა ახალი სექტა. სექტა ღებულობს მხოლოთ და მხოლოთ ლოცვაში და მარხულობაში ატარებენ. სექტის უმთავრესი დოგმაა:—მამაკაცების უარყოფა და უშვილობა.

სტამბის დახურვა. ოდესაში ადმინისტრაციამ დახურა ცესარსკის სტამბა, იმიტომ, რომ ამ სტამბაში დაიბეჭდა ნება-დართული „ოდეს. პროფესიონალური ვისტნიკი“.

მოსკოვის არჩევნები და კადეტების კანდიდატი. კადეტების პარტიას გადაწყვეტია მოსკოვიდან სახელმწიფო დუმის წევრათ წამოაყენონ შჩეპკინი. პარტიულ წრეებში ირწმუნებიან, რომ შეა საძლებელია კადეტებმა გაიმარჯვონ. ექვსგარეშეა, რომ, როგორც ორი წლის წინათ, ბრძოლა ორ პარტიას შუა გაჩაღდება—ხალხის თავისუფლების პარტიას და ოქტომბრისტებს შორის. მონარქისტები, რადგან ცოტანი არიან, ანგარიშში არ მიიღებიან. პირველ არჩევნებზე ოქტომბრისტებმა მიიღეს კადეტებზე მეტი 200 ხმა.

გაფიცვა რამენსკის მანუფაქტურაში. რამენსკის მანუფაქტურაში გაიფიცენ მუშები. სულ იქ მუშაობს 7000 მუშა. გაფიცვა მშვიდობიანათ მიდის. მუშები ყოველ დღე მიდიან ქარხანაში, დადგებიან თავიანთ ადგილას, მაგრამ მუშაობით არ მუშაობენ. გაფიცვა 10 პროც. ფასის დაკლებამ გამოიწვია.

მთელ ქარხანაში მუშაობა შეაჩერეს 4 სექტემბრამდე. გამოაკრეს განცხადება, რომ მუშებმა ანგარიში მიიღონ.

პოლიტიკურ გადასახლებულთა მდგომარეობა. ვოლოგდის პოლიციის სამართველომ ბევრ პოლიტიკურ გადასახლებულებს დახმარება მოუსპო, მათ რიცხვში ყველა ვექილებს. დახმარების მოსპობის მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ მატერიალური მხრით ისინი ჯეროვნად ყოფილი არიანო. ამ განკარგულების წყალობით ბევრი გადასახლებული უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნენ.

საზღვარ-გარეთ

ბრანტინგი შვეიციის გაფიცვის გმირების შესახებ. შვეიციის გაფიცვა

უსათაურო

(გაგრძელება *)

...ერთ კვირას შემდეგ მე და ხვარამზე ერთად, ერთ ბინაზე ვცხოვრობდით უკვე.

ვიღაცას ეს გარემოება ძალიან ეწყინა, ვიღაც ხვარამზეს ნათესავ ქალს. ის იყო შუა ხნის, ჯანსაღი დედაკაცი.

— უი ქა, თვალები კი დამიდგა, ეს რა ჩაიდინე! და თუმცა აცხადებდა სურვილს, რომ თვალები დადგომოდა, უბრალო ენაზე ნათარგმნი ეს ნიშნავდა—მე კი არა, შენ დაგიდგეს თვალები, შენ უნამუსოვო.

— ეს რა ჩაიდინე, თავი რათ მოგვჭერი სირცხვილით? და ვინ იცის, კიდევ რამდენი უსაყვედურა ხვარამზეს. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ჯვარდაუწერელი ვცხოვრობთ, თუმცა ისიც ცხადია, რომ თქვენი უმორჩილესი მონა ვერ არის სასურველი სიძე.

ხვარამზე ერთ ხანს ეკმათებოდა მას, მაგრამ დაბოლოს დაანება ბრძოლის ველი, მხოლოდ იჯდა და ყურს უგდებდა. მე კი მეორე ოთახში ვიჯექი და ვფიქრობდი იმაზე, თუ რა ბედნიერი ვარ. გული სავსეა სიყვარულით, გული სავსეა ალერსითა და ტკბილი გრძნობით, გული ხტის და თამაშობს. ჩემი ხვარამზე, ჩემია, ჩემი! და მე ვცეკვობ, მე ვთამაშობ, ხანდახან ჩავეკრები მას მკერდში და ვკოცნი, ვკოცნი.

ხშირათ ხვარამზე მიცქერის დამცინავი თვალებით და მეუბნება:

— რა ადვილია შენი დამორჩილება!

— ადვილია! ვეთანხმები მე.

— აი დიცა, ქოშებს ქვეშ გამყოფებ თუ დამჭირდა.

— აბა სცადე.

*) იხ. „მომავალი“ № 4.

— На колѣни!

— შენმა მზემ. და მზათ კი ვარ მუხლი მოვიყარო მის წინაშე.

— На колѣни! იმეორებს ის და ფეხს აბაკუნებს. მე მართლა მინდა ავასრულო მისი ბრძანება, მაგრამ ვიჭერ თავს და უცებ ვეუბნევი:

— Дура!

— რაო, რა თქვი? გაიმეორე!

— Дура!

ის მწვდება თმაში და ორივე ხელებით არწევს ჰაერში ჩემ თავს, მაგრამ მე არაფერი მტკივა, არაფერი არ მიჭირს. კიდევ, კიდევ!..

— Дура! ვიძახი ისევ მე, ის კი მირწევს თავს ჰაერში.

მაგრამ აი უცებ, ამ სიტყვა „დურა“-ზე მე მაგონდება ერთი ბინძური ეპიზოდი ჩემი წარსულიდან.

მყავდა მე ერთი ნაცნობი, საკმაოთ მახლობელი ამხანაგი, რომელსაც ლამაზი ცოლი ყავდა. ისინი ახლაც ცოცხლობენ ჯანსაღათა და ერთმანეთი უყვართ, რა თქმა უნდა. ერთ საღამოს მე შექეიფებული ვეწვიე იმათ, მაგრამ ჩემი ნაცნობი არ დამხვდა სახლში. ხოლო მისმა ცოლმა რა გაიგო ჩემი მხიარულების მიზეზი, ჯერ გაიკვირვა, თქვა, რომ ის არავის არ დაუჯერებდა ჩემ შესახებ ამას. თავისი თვალით რომ არ ენახა და რომ ხშირათ წამომაძახებს მე ამ გარემოებას შემდეგში. შემდეგ მან მოიტანა ტკბილი არაყი და ღვინო, მოიტანა ხილიც და... და მართალი ვთქვა, დამათრო. ეშმაკურათ მომეპყრა, თითონაც დალია რამდენიმე სტაქანი. და როცა უკვე ღამით მე ვდექი ბინაზე წასასვლელათ, კარებს უკან ბნელაში ვიღაცამ მკლავში მომკიდა ხელი და ჩამილაპარაკა:

— მეშინია არ წაიქცე სიმთვრალით. ვიცანი ჩემი დიასახლისის ხმა.

— ვინ არის მთვრალი, მე?

— რა თქმა უნდა შენ. და მან უფრო მაგრათ მომიჭირა მკლავში ხელი, ხოლო ისე ახლო მოიტანა ტუჩები ჩემ ყურთან, რომ მე თითქმის ვიგრძენი ის.

— Вотъ Дура! წამოვიძახე მე.

— მაშ ილანძღები კიდეც! მომესმა ხმა და მომხვია ხელი. ახლა მართლა რომ მთვრალი ვარ, მეც გავშალე ხელი და მოვხვიე მას.

შემდეგ წავედი ბინაზე და როცა დილას გამომეღვიძა ყველაფერი გამახსენდა.

— ფუ! ფუ! რამდენიმეჯერ გადავაფურთხე მე—ფუ! საძაგელ ხასიათზე ავდექი.

შუადღისას, ის მორთული და ლამაზი მოვიდა ჩემთან და სცადა ჩემ გვერდში დამჯდარიყო. მე კი უკმეხათ ვუთხარი მას:

— მე თქვენ გთხოვთ რაც წუხელის მოხდა სამუდამოთ დაივიწყოთ. ასეთი სისაძაგლე შემდეგში არ უნდა განმეორდეს.

იმას ფერი ეცვალა, საჭიროთ წამოხტა ფეხზე, ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გადაიხედა, შემდეგ უცებ მობრუნდა ჩემკენ და ცივი, თან უზრდელი, ცინიკური ხმით მითხრა:

— რა მოხდა ასეთი წუხელის? Вотъ дуракъ! ახლა თავის მხრით მომნათლა მან და კარებისკენ წავიდა.

— Ну, пусть дуракъ! пусть дуракъ მივაძახე მე და როცა ის უკვე წავიდა, ისევ გავიმეორე,—пусть дуракъ. ოღონდ დამანებე თავი.

მაგონდება ეს, როცა ხვარამზე მჭენჯნის და მაერჟოლებს ტანში, თავის თავს ვაძლევ სიტყვას, ეს სიტყვა—„Дура“ აღარ ვიხმარო აწი ჩემ ლხუმრობაში.

... ხვარამზე თანდათან უფრო ერთვება პარტიულ საქმეებში, რის გამო სულ უფრო და უფრო ცოტა რჩება თავისუფალი დრო. მას უკვე ყავს რამდენიმე წერე მუშა ქალებისა, რის გამო ის, როგორც ამბობს „დაეჭიდა პოლიტიკურ ეკონომიას“, უნდა ის უფრო დააწყოს თავში, ადვილ გასაგებ, მდაბიო ენით გადასცეს ის მსმენელებს. ხშირათ მეკითხება ის თუ როგორ იქნება ქართულათ ესა თუ ის სპეციალური ტერმინი, ესა თუ ის წინადადება. ვსხდებით ერთად მე და ის, გადავშლით წიგნსა და ვკითხულობთ. ვკითხულობთ, ვარკვევთ წანაკითხსა და მივდივართ ქვევით, კიდევ ვკითხულობთ... მშვენიერია ხვარამზე მაშინ, როცა უცებ მის თავში ირკვევა ახალი მცნება, როცა ის თითქოს ერთი ნაბიჯით მაღლა ადის, საიდანაც უფრო დიდი ჰორიზონტი იშლება თვალწინ, უფრო მომტაცი პერსპექტივა.

— ვიშ! ვიშ! იძახის ის და თვალები უბრწყინავს, ცქმუტავს, ვერ მაგრდება. და როცა ის შემხედავს ამ დროს მე და როცა მის თვალებში ვხედავ ჩემდამი სიყვარულს, მე ვერ ვიკავებ თავს და ვცდილობ ვაკოცო თვალებში. ის კი ჯავრობს და მეძახის მე მანილოვს.

მაინც ამ ტერმინით მე ის ხშირათ მაჯავრებს.

— შენ რომ აზნაური იყო და საკმაო სიმდიდრე მოგცა, ნამდვილი მანილოვი იქნები.

— საიდაინ იცი ეს ქალბატონო?

ის არ მეუბნება საიდან იცის ეს, მე კი ვგრძნობ, რომ ეს დასკვნა მას გამოუყავს ჩემი მისდამი დამოკიდებულებიდან. ეს ცხადია, მე შემიძლია დილიდან საღამომდე მის გვერდში ვიჯდე და არაფერი არ გამახსენდეს გარდა ამისა, რომ ხვარამზე მიყვარს... რა ვქნა, ეს სტიქიონია, მე ის მიყვარს, მიყვარს...

ზაფხულზე მე დიდი გმირობა და თავგანწირულება გამოვიჩინე. მე დავშორდი ხვარამზეს. ის გაემგზავრა კახეთში, სადაც მას შინაურები იწოდებდენ რ ღაც სამკვიდროს გამო, მე კი გადწყვიტე გავყოლოდი სოფელ-სოფელ, მევლო ქართლი, იმერეთი და ჩავსულ ყავ გურიაში. ისე მოვაწყვეთ, რომ კ რაში ორხელ მაინც უნდა მიმეღო ხვარა ზესგან წერილები და აგრეთვე მეც უ და მიმეწერა მისთვის.

ერთი-ორათ იმატა ჩემმა სიყვარულ სოფლებში. გაშლილი ველი, ვარსკლავ ბით მოჭედილი ცა, ლამაზი, მორკ ტყის ყვავილი, მხიარული ფრთოსან ყველაფერი ხვარამზეს მაგონებდა, მეგონა, ყოველგან ის იყო ჩაქსოვილი ბუ ბაში და უჩინრათ მდევდა მე თან, ატა და თვალს ყოველივე ჩემ ნაბიჯს, მეგონა, ყველა ჩემი აზრი, ყველა ჩ ფიქრები იცოდა მან. და მეც ვფიქრო დი მხოლოდ მასზე. დავწვებოდი თუ არ მე ვემშვიდობებოდი მას.

— ღამე მშვიდობის ჩემო ხვარამზე იძინე!

გამომეღვიძებოდა შემთხვევით ის მახსენდებოდა:

ხვარამზე!..

ავდგებოდი დილით ადრე და მა ვაძლევდი სალამს.

— დილა მშვიდობის ხვარამზე, რ გორ გეძინა!..

როცა მარტოთ დავრჩებოდი, მე ვთხზ დი გონებაში ათასნაირ საოხუნჯო ბებს და ვუამბობდი მას. თან კი მეს და მისი სიცილი, რომელიც პატა მთიდან ჩამომდინარე, რუს ჩუხჩუხს გ და, როცა ის უდარდელათ იცინოდა.

ერთ დილას მე ერთი სოფლიდან მე რეში უნდა წავსულიყავ ეტლით. სხ დასხვა მოსაზრებით სტუდენტის ჭუ მეხურა და საჯაროთ, რომელიდაც ქა თლელი თავადის სტუმარი მქვიოდა.

ჯან-საღი, მშვენიერი დილა იყო. ვესალმე ხვარამზეს, იმის სურათს და

სსვე გრძელდება. ამიტომ მეტათ საინტერესოა შვეიცის მუშათა ბელადის ბრანტინგის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა ბერლინში სახალხო კრებაზე.

მადლობა გადაუხადა გერმანელ მუშებს დახმარებისათვის და გააცნო კრებას, რომ შვეიცის მუშათა გაფიცვის მიზანს არათუ არავითარი კავშირი არა აქვს ანარქისტების და ანარქო სოციალისტების მიზანთან. მიზანი ის კი არ იყო, რომ დაენგრიათ ბურჟუაზიული წეს-წყობილება, არამედ, წინააღმდეგობა გაეწიათ მწარმოებელთა ორიშებისთვის. ისეთი უფლებების შეზღუდვა, როგორიც ხელშეკრულობითაც არ შეიძლება. მუშათათვის ხელსაყრელი არ იქნებოდა ამიხედრებია მთელი ბურჟუაზია თავის წინააღმდეგ, ამიტომ შვეიცის პროლეტარიატმა გადასწყვიტა ებრძოლოს მხოლოდ მარტო მწარმოებელთა კავშირს და ამის და მიხედვით შეამციროს გაფიცვა. ასეთი ბრძოლა გაგრძელდება და უფრო მწვავე ხასიათსაც მიიღებს.

სოც. დემოკრატების გამარჯვება. გერმანიის რეიხსტაგის უკანასკნელ დამატებითი არჩევნებზე ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა. შტოლბერგში სოც.-დემოკრატების კანდიდატმა მიიღო 21,178 ხმა, ნაციონალ-ლიბერალებმა კი—9,368 ხმა. არჩევნები სხვათა შორის ნათლათ ამტკიცებენ თუ როგორ სწრაფათ იზრდება სოციალ-დემოკრატების გავლენა. 1907 წ. ამავე ოლქში ს.-დემოკრატებმა მიიღეს 19,000 ხმა, ეხლა კი, 21,178. იმავე წელში ბიურგერიის პარტიამ მიიღო 14,600 ხმა. ახლა კი—9,300 ჩამოვიდა. ასე რომ, სოციალ-დემოკრატებმა შეიძინეს 2,000 ხმა, ხოლო ბიურგერების პარტიამ დაჰკარგა—5,000 ხმა.

სახრჩობელიდან პარლამენტში. ირლანდიის ერთ ოლქში, დამატებით არჩევნებზე დეპუტატათ აირჩიეს არტურ ლინჩი. ლინჩი დამცველი იყო ირლანდიის დამოუკიდებლობის. ბურებთან ომის დროს ის ბურების რაზმში იდგა და ინგლისელების წინააღმდეგ იბრძოდა. ის დაატყვევეს და 1903 წ. ღალატისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. შემდეგ ჩამოხრჩობა უვადო კატორგათ შეუცვალეს, ხოლო შემდეგ კიდევ ასკვიტმა სრულებით გაანთავისუფლა და უფლებებიც დაუბრუნა.

ტრედ-უნიონების კონგრესი. კონგრესმა ერთხმათ მიიღო პალატის დეპუტატ ტორნის რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს საყოველთაო, სავალდებულო საშვალო და ტექნიკური განათლების შემოღებას ხაზინის ხარჯით.

ახალი ამბები

პროვოკაცია. ამ დღეებში გაზ. „ბაქოში“ მოთავსებული იყო ცნობა, ვითომ ბაქოს მაძებარ პოლიციას აღმოეჩინოს ყუმბარების საწყობი და შეეპყრას ექსპროპრიატორთა ბრბო, რომელიც ის იყო ჩამოვიდა თფილისიდან და ემზადებოდა ერთ ერთ ბანკზე თავდასასხმელათ. ეხლა, როგორც თვით „ბაქო“ იუწყება, გამორკვეულა, რომ ეს ყოფილა ნამდვილი პროვოკაცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა მეძებარი პოლიციის განყოფილების უფროსი ბ. დურიევი. პოლიციამ მიაგნო ამ, ვითომდა ექსპროპრიაციის კვალს, რომელიც მოუწყვიათ ორ აგენტის მონაწილეობით. ამ უკანასკნელთ უპოვეს მოწმობა, რაიც ამტკიცებს, რომ ისინი თფილისის მაძებარ პოლიციის აგენტები ყოფილან.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის ქართული სექციის კრება.** ხუთშაბათს, 3 სექტემბერს მოხდა სახალხო უნივერსიტეტის ქართული სასკოლო სექციის კრება. კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, სახალხო უნივერსიტეტის სკოლების საქმეები ვერ არის კარგათ. ამიტომ გამგეობას დაუდგენია, ის სკოლა, რომელშიაც ქრონიკულათ 15 კაცზე ნაკლები ივლის, სრულებით დაიკეტოს. ამასთანავე, გამგეობის დადგენილებით, თითოეულ სკოლას ენიშნება მზრუნველი, რომელსაც უფლება ეძლევა მასწავლებლის კანდიდატი წამოაყენოს თავის სკოლისთვის, რომელსაც სექციის კანდიდატთან ერთათ საბოლოოთ ამტკიცებს თვით გამგეობა. უნივერსიტეტის სკოლას წელს თავი დაანებეს მასწავლებელმა მ. მარკოზიშვილმა და თათარაშვილმა. ამათ მაგიერ წამოაყენეს კანდიდატები, რომელთა მიღება თუ არ მიღება საბოლოოთ გადაწყდება კვირას, 6 სექტემბერს.

◆ **რევიზია.** ამ დღებში თფილისში ჩამოვიდა სამიწათ-მომქმედო დეპარტამენტის განყოფილების უფროსი ბ. ა. ვიტმერი. ის რევიზიას მოახდენს კავკასიის უმთავრეს მიწისმომწყობ სამართველოს სამეურნეო დაწესებულებებში.

◆ **ყუმბარების საწყობი.** ბაქოში როგორც „თფ. ფურც.“ დეპეშით ატყობინებენ, ერთ-ერთ ადგილობრივ სასტუმროში აღმოუჩენიათ ყუმბარების დასამზადებელი სახელოსნო და საწყობი. ყუმბარებს ამზადებდა ბაქოს მაძებარი პოლიციის აგენტების ბრბო, რომელსაც ესაჭიროებოდა პროვოკაციის მოსახდენათ. მათ წინააღმდეგ წამოყენებულია საფუძვლიანი ბრალდებები. გამოძიება სწარმოებს.

◆ **შუამდგომლობა.** დიდუბელებმა შუამდგომლობა აღძრეს ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წინაშე, რათა გაესნას მან დიდუბეში ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

◆ **ქალაქის საბჭოს სხდომა.** ორშაბათს, 7 სექტ. საღამოს 8 საათზე მოხდება თფილისის ქალაქის საბჭო მორიგი კრება. სანამ კრება გაიხსნებოდეს გამგეობა პანაშვიდს გადაიხდის ამ დღეებში პარიზში გარდაცვლილ ყოფილ ქალაქის თავის ა. მატინოვის სულის მოსახსენებლათ და შემდეგ შეუდგება სხვადასხვა კითხვების განხილვას.

◆ **თავდასხმა.** „ბატ. იზვესტ.“ დეპეშით ატყობინებენ ზუგდიდიდან, რომ 2 სექტემბერს ფოთიდან მიმავალ დილეჟანებს თავს დასხმიან ბოროტ-გამზრახველები.—სტრაჟნიკებსა და მათ შორის ამტყდარა საშინელი სროლა. შეუპყრიათ სამი თავდამსხმელთაგანი.

◆ **თავის მოწამლვა.** 3 სექტ. ფეოდოსიის ქუჩაზე მცხოვრებმა აპრიამ ტატოევმა, რომელიც აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიაში მსახურობდა, თავი მოიწამლა. მას დაუტოვებია წერილი, რომლითაც სთხოვს დედას არავის ბრალი არ დასდოს მის სიკვდილში. ტატოევის გვამი გაგზავნეს საავათმყოფოში.

◆ **თავდასხმა.** 3 სექტ. ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის მცხოვრებმა რკინის გზის სადგურის მუშამ ირაკლი ჯღენტმა განაცხადა პოლიციაში, რომ 2 სექტემბერს მალაკნის ქუჩ. მას თავს დაესხნენ 3 უცნობნი, რომლებიც დაემუქრენ მას და მოსთხოვეს 25 მან. როცა მან სთხოვა თავი დაენებებინათ მისთვის, მათ მაგრათ სცემეს მას, გაჩხრიკეს და როცა ვერაფერი უპოვეს გაუდგენ გზას, ამ საქმის გამო პოლიციამ დააპატიმრა ქ. ოზურგეთის მცხოვრები აზ. კონსტანტინე ხუნდაძე და თფ. მცხოვრები ესტატე როხროხოვი. ისინი იცნეს, როგორც თავდამსხმელები.

დაპატიმრება. 2 სექტემბერს სიონის ქუჩ. პოლიციელ არუშანოვზე თავდასხმის გამო 3 სექტემბერს დააპატიმრეს ახალციხის მცხოვრები ვართან სისოიანცი, სავაჭრო სახლის აფრიკიანის ნოქარი, თფილისის მაზ. სოფ. მარტყოფის მცხოვრები გიორგი ძამამაშვილი, თფილისის მოქალაქე გიორგი კანდელაკი და ალ. ვართანოვი. ამათ ბრალდებათ არუშანოვზე თავდასხმაში მონაწილეობის მიღება და სხვა ბოროტ-მოქმედებანი.

◆ **სეირნობა.** 8 სექტემბერს სინემატოგრაფ „მუზას“ ბაღში გაიმართება დიდი სეირნობა ქალთა კურსების სასარგებლოთ.

◆ **ადმინისტრატიული წესით გადასახლებულის შეპყრობა.** 3 სექტემბერს პოლიციამ დააპატიმრა თფ. საგენერალგუბერნატოროდან გადასახლებული სიმონ გარაყანიძე.

◆ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 3 სექტემბერს ჩხრეკის დროს მე-3 საპოლიციო ნაწილში პოლიციამ დააპატიმრა 19 უპასპორტო.

◆ მივიღეთ დეპ. სევ. ჯუღელის და არჩ. ჯაფარიძის ოჯახობის სასარგებლოთ ტრამვაი ელექტრონის სადგურის მუშებს შორის შეკრებილი 8 მან. 10 კაპ.

სახალხო წარმომდგენების ვამმართველო სექციის რეორგანიზაციის შესახებ.

(ქ-ნ ს. რომანიშვილის პასუხათ).

(გაგრძელება, იხ. „მომავალი“ № 7).

თქვენ არაფერს არ ამბობთ იმის შესახებ, რომ ასახელებდენ და იწრეგდენ კიდეც ისეთ პირებს, რომლებიც არც წაკითხულან და არც ენახათ დამსახელებლები. მაგ. ქ-ნი დემურია თითქმის ყოველს სხდომაზე ასახელებდა ხელისებს: „მეგობრებია“ (წაიკითხეთ: „მეგობრობა“ შეუკავშვიდისა), „ახალი ძალა“ და სხ., რომლებსაც, როგორც თითონ ამბობდა, არ იცნობდა.

